თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო

კონსერვატორიის დიდი დარბაზი

VANO SARAJISHVILI TBILISI STATE

CONSERVATOIRE GRAND HALL



მანანა დოიჯაშვილის სახელობის XXVII საერთაშორისო ფესტივალი

„ცვენა ფიფქთა მშვიდობრივი შეხვედრები"

MANANA DOIJASHVILI XXVII International Festival

„New Year Music Celebrations"

კულტურის სამინისტრო

ENCARGADURÍA DE NEGOCIOS EN TBILISI

Ambasciata d'Italia Tbilisi

აჭარის ტელევიზია და რადიო

106.9 FM FORTUNA

ჯეო ჯალიტრა FM 103.9

ბაბები.GE

billboard

yolo

silk hospitality

დეკემბერი 2-23 December

თბილისი 2025 Tbilisi

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო

კონსერვატორიის დიდი დარბაზი



V. SARAJISHVILI TBILISI STATE

CONSERVATOIRE GRAND HALL

ჩვენო ძვირფასო მსმენელო,

მანანა დოიჯაშვილის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი "საახალწლო მუსიკალური შეხვედრები" გილოცავთ დამდეგ ახალ წელს! დღეგრძელობის, ბედნიერების და დიდი წარმატების მომტანი ყოფილიყოს იგი ჩვენი ქვეყნისა და თითოეული თქვენგანისათვის.

ფესტივალის არსებობის მრავალი წლის მანძილზე, დიდი დარბაზის მსმენელს არაერთი შესანიშნავი კონცერტი ახსოვს.

ჩვენი უპირველესი მიზანი ყოველთვის იყო და კვლავაც იქნება – მოგანიჭოთ სიამოვნება და სიხარული. არც ახლა ვღალატობთ ჩვენს ტრადიციას და წარმოგიდგენთ დაუვიწყარ საღამოებს.

გიორგი ვაჩნაძე

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

OUR DEAR LISTENERS,

On behalf of the MANANA DOIJASHVILI international festival „New Year Music Celebrations“, we would like to wish you a Happy New Year!May it bring a lifetime of happiness, huge success and prosperity to our country and each and every one of you.

Throughout many years of our festival, guests of the Conservatoire Grand Hall have enjoyed a great number of memorable events.

Our primary goal has always been bringing pleasure and joy to our audience. We, yet again, remain faithful to our traditions and heartily present you unforgettable concerts.

George Vatchnadze

Artistic Director of the Festival
Rector of the Tbilisi State Conservatoire

მანანა დოიჯაშვილი 1947 – 2023

ფესტივალის დამაარსებელი

მუსიკის სწავლა 7 წლის ასაკში დაიწყო. მისი პირველი მასწავლებელი გახლდათ რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი მერი ჭავჭანიძე. 9 წლის იყო, როცა კონსერვატორიის დიდ დარბაზში სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ჰაიდნის საფორტეპიანო კონცერტი (D major) შეასრულა; 12 წლის ასაკში კი დიდი წარმატებით დაუკრა შუმანის საფორტეპიანო კონცერტი.

მანანა დოიჯაშვილი 1965 წელს ხდება ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი; 1966-1967 წლებში სწავლობს მოსკოვის გნესინების სახელობის ინსტიტუტში (პროფ. ა. იოხელესის კლასი); 1967-1971 წლებში კი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში (პროფ. თ. ამირეჯიბის კლასი); 1971-1973 წლებში თბილისის კონსერვატორიის ასპირანტია; 1979 წელს გადის სტაჟირებას მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორ ს. ნეიჰაუზთან. 1973 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სპეციალური ფორტეპიანოს კათედრაზე, სადაც 2013 წლიდან ხელმძღვანელობდა ფორტეპიანოს მიმართულებას.

ჯ. ენესკუს (რუმინეთი, 1970 წ.), ბ. სმეტანას (ჩეხოსლოვაკია, 1974 წ.) და სიდნეის (1977 წ.) პირველ საერთაშორისო კონკურსებზე გამარჯვებებმა მას დიდი აღიარება მოუტანა.

გამართული აქვს სოლო, კამერული თუ სიმფონიური მუსიკის კონცერტები მსოფლიოს სახელგანთქმულ დარბაზებში, როგორებიცაა: ბუქარესტის "ეტენეუმი", მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დიდი და მცირე დარბაზები, სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიის დიდი დარბაზი, ლაიფციგის "გევან ჰაუზი", ზალცბურგის "მოცარტეუმი", სიდნეის "ოპერა ჰაუზი", ჰელსინკის "ფინლანდია ჰოლი", გრანადოსის "ალბენის ჰოლი" და სხვა.

მანანა დოიჯაშვილის თაოსნობით ხანგრძლივი უმოქმედობის შემდეგ აღდგა და თბილისის მუსიკალურ ცხოვრებას დაუბრუნდა კონსერვატორიის დიდი დარბაზი.იგი გახდა საქართველოში "საკონკურსო მოძრაობის" სულისჩამდგმელი. მან საფუძველი ჩაუყარა "საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსს" (1995), "პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსს" (1997), "ფრანსუა ლოლოს სახელობის ჩასაბერ საკრავთა კონკურსს" (2001) და "ფრედერიკ შოპენის სახელობის ნორჩ პიანისტთა კონკურსს" (2008).

მისივე ინიციატივით დაარსდა კონსერვატორიის დიდი დარბაზის ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი "საახალწლო მუსიკალური შეხვედრები" (1998). მისი თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი "ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმს" და "ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო კვლევის ცენტრს" თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

მისი რექტორობის პერიოდში (2000-2011წწ.) მთლიანად აღდგა კონსერვატორიის ისტორიული შენობის ინფრასტრუქტურა და შეიქმნა კონსერვატორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საქართველოს სახალხო არტისტი მ. დოიჯაშვილი არა ერთი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი გახლდათ: შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელმწიფო პრემიების ლაურეტი, "პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენის კავალერი", საფრანგეთის რესპუბლიკის "ლიტერატურისა და ხელოვნების ორდენის კავალერი", იტალიის პრეზიდენტის ჯილდოს - "იტალიის სოლიდარობის ვარსკვლავის" მფლობელი, "მსოფლიოს სახალხო დიპლომატის" საპატიო წოდება, მინიჭებული გაეროს "მშვიდობის საელჩოს" მიერ, პოლონური კულტურის ღირსების ორდენის კავალერი.

მას სისტემატურად იწვევდნენ მსოფლიოს პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსების ჟიურის შემადგენლობაში: ა. კასაგრანდეს (იტალია), ფ. ბუზონის (იტალია), ა. ხაჩატურიანის (სომხეთი), UNISA -ს (სამხრეთ აფრიკა), სიდნეის (ავსტრალია), ხოსე იტურბის (ესპანეთი), ფ. ლისტის (ვაიმარი), მარია კანალსის (ბარსელონა), ი. პადერევსკის (ბიდგოშჩი, პოლონეთი), ვ. ჰოროვიცის (უკრაინა), ქსიამენის, ინდიანაპოლისის, როდოსისა და პიანისტთა სხვა საერთაშორისო კონკურსები.

MANANA DOIJASHVILI 1947 – 2023

Founder of the Festival

She started piano lessons at the age of 7. Her very first music teacher was an Honored Teacher of the Republic Meri Tchavtchanidze. Manana Doijashvili was only 9 when she played a piano concerto by Haydn (D-major) with the symphony orchestra at the Tbilisi State Conservatoire Grand Hall. She had even greater success after performing a Schumann Piano Concerto as a 12-year-old.

Laureate of Trans-Caucasian competition of musician-performers (1965), Mrs. Doijashvili pursues her studies at the Gnessin Institute of Music in Moscow (1966-1967) under the guidance of prof. A. Iocheles; and in 1971 did her Internship with Stanislav Neuhaus at the Moscow State Tchaikovsky Conservatory. 1971-1973 mark her Post Graduate Studies under the mentorship of prof. Tengiz Amirejibi at the Tbilisi State Conservatoire, where she was teaching since 1973 through 2022; and additionally, she was the head of the piano department starting 2013.

Winning in such international competitions as the G. Enescu International Competition in Bucharest (1970), the B. Smetana Competition (1974) and the First International Piano Competition in Sydney (1977) brought her a world-wide recognition.

She systematically appeared with solo recitals, as well as with chamber and orchestral music concerts in the world's leading concert halls. Among them are: "Ateneum" (Bucharest), Great and Small Concert Halls of the Moscow Conservatoire, Grand Hall of St. Petersburg Philharmonia, Gevand House (Leipzig), Mozarteum (Salzburg), Sydney Opera House, Finlandia Hall in Helsinki, Albeniz Hall in Granados and etc.

Under her initiative and leadership, the Grand Hall of the Conservatoire was restored and brought back to musical life. M. Doijashvili herself became the organizer and inspirer of the „competition movement“ in Georgia. She founded: The Georgian Competition of Musician-Performers (1995), Tbilisi International Piano Competition (1997), The François Leleux Wind Competition" (2001) and The Fryderyk Chopin Competition for Young Pianists (2008). The Conservatoire Grand Hall annual international festival - „New Year Music Celebrations“ - was, also, founded under her initiative in 1998.

She established the "International Symposium on Traditional Polyphony" and the "Traditional Polyphony research centre" at the Tbilisi State Conservatoire.

During the period of her rectorship in 2000-2011, the infrastructure of the historical building of the conservatoire was entirely restored and the material and technical base of the conservatoire was created.

People's Artist of Georgia, M. Doijashvili was the holder of various awards: Shota Rustaveli and Zakaria Paliashvili State Prizes, The Presidential „Order of Excellence“, Cavalier of „Officier dans l'ordre des Arts et des Lettres“ conferred by the Republic of France, the President of Italy Prize „The Star of Solidarity of Italy“, Honorary title of „Envoy of Peace“, conferred by UNO „Peace Embassy“, Cavalier of the Order of honor of Polish Culture.

As a member of the jury, she was frequently invited to such prestigious international competitions, as: Alessandro Cassagrande (Italy), Ferruccio Busoni (Italy), A. Khachaturiyan (Armenia), UNISA (South Africa), Sydney (Australia), Jose Iturbi (Spain), F. Liszt (Weimar), Maria Canals (Barcelona), I. Paderewski (Bydgoszcz, Poland), "In Memory of Vladimir Horowitz" (Ukraine), Xiamen, Indianapolis, Rodos and many other International Piano Competitions.

მანანა დოიჯაშვილის სახელობის XXVII საერთაშორისო ფესტივალი

"ახალი წლის მუსიკალური შეხვედრები"

2-23 დეკემბერი 2025

2 დეკემბერი 20:00
ჯაზის საღამო
გონზალო რუბალკაბას ტრიო
გონზალო რუბალკაბა ფორტეპიანო
რიკი როდრიგესი ბასი
ერნესტო სიმფსონი დასარტყამი

10 დეკემბერი 19:00
საორგანო მუსიკის საღამო
რომან კრასნოვსკი უკრაინა / ისრაელი

15 დეკემბერი 19:00
ვოკალური მუსიკის საღამო
„ესპანური რიტმები“
ქეთევან ქემოკლიძე მეცო-სოპრანო, საქართველო
ანდრეს სალადო დირიჟორი, ესპანეთი
ზაქარია ფალიაშვილის სახ. სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი

17 დეკემბერი 19:00
კამერული მუსიკის საღამო
მარიო ბრუნელო ჩელო, იტალია
გიორგი ვაჩნაძე ფორტეპიანო, საქართველო / აშშ

20 დეკემბერი 19:00
კამერული მუსიკის საღამო
თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“
მარიო ბრუნელო დირიჟორი, იტალია

23 დეკემბერი 19:00
საფორტეპიანო მუსიკის საღამო
კაცუნორი იში იაპონია

დარბაზის ფოიეში წარმოდგენილი იქნება ფერმწერ უშანგი ხუმარაშვილის ნამუშევრები.
კურატორი ქეთევან კორძახია

MANANA DOIJASHVILI XXVII International Festival

„New Year Music Celebrations“

2-23 DECEMBER 2025

2 DECEMBER 20:00
JAZZ EVENING
GONZALO RUBALCABA TRIO
GONZALO RUBALCABA piano
RICKY RODRIGUEZ bass
ERNESTO SIMPSON drums

10 DECEMBER 19:00
ORGAN MUSIC EVENING
ROMAN KRASNOVSKY Ukraine / Israel

15 DECEMBER 19:00
VOCAL MUSIC EVENING
"SPANISH RHYTHMS"
KETEVAN KEMOKLIDZE mezzo-soprano, Georgia
ANDRÉS SALADO conductor, Spain
TBILISI ZAKARIA PALIASHVILI OPERA AND BALLET STATE THEATER ORCHESTRA

17 DECEMBER 19:00
CHAMBER MUSIC EVENING
MARIO BRUNELLO cello, Italy
GEORGE VATCHNADZE piano, Georgia/USA

20 DECEMBER 19:00
CHAMBER MUSIC EVENING
TBILISI STATE CHAMBER ORCHESTRA "GEORGIAN SINFONIETTA"
MARIO BRUNELLO conductor, Italy

23 DECEMBER 19:00
PIANO MUSIC EVENING
KATSUNORI ISHII Japan

Artworks of USHANGI KHUMARASHVILI will be exhibited in the foyer
Art curator KETEVAN KORDZAKHIA

დეკემბერი 2 DECEMBER 20:00

ჯაზის საღამო

გონზალო რუბალკაბას ტრიო

JAZZ EVENING GONZALO RUBALCABA TRIO

RICKY RODRIGUEZ
BASS / PUERTO RICO

GONZALO RUBALCABA
PIANO / CUBA

ERNESTO SIMPSON
DRUMS / CUBA

გონზალო რუბალკაბა ფორტეპიანო

გონზალო რუბალკაბა, სახელგანთქმული პიანისტი, კომპოზიტორი და მრავალგზის გრემის მფლობელი, 1999 წელს ჟურნალის “Piano & Keyboard Magazine” მიერ XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს პიანისტად დასახელდა ისეთი ლეგენდარული მუსიკოსების გვერდით, როგორებიცაა: გლენ გულდი, მართა არგერიხი და ბილ ევანსი.

რუბალკაბას მიღებული აქვს არაერთი პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო; მათ შორის: სამი გრემი (Nocturne, 2001; Land of the Sun, 2004 - ორივე ალბომი ჩაწერილია ბასისტ ჩარლი ჰეიდენთან ერთად; და SKYLINE, 2022 - რონ კარტერთან და ჯეკ დეჯონეტთან ერთად), ოთხი ლათინური გრემი, 21 გრემის ნომინაცია; ასევე, EMPIK Bestsellers, “Les Victoires du Jazz” და “Palmarés”, რომელიც მას საფრანგეთის ჯაზ აკადემიისგან (“Grand Prix De L'ACADEMIE DU JAZZ”) გადაეცა.

2008 წელს, მისი გამორჩეული და ინოვაციური საკომპოზიციო თუ საშემსრულებლო სტილის აღიარების ნიშნად და ზოგადად, ჯაზის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, რუბალკაბა დაჯილდოვდა ორგანიზაციის ASCAP Foundation პრიზით - “Vanguard Award”.

გონზალო რუბალკაბა 1963 წლის 27 მაისს დაიბადა ჰავანაში - მუსიკალურ ოჯახში. მისი მამა იყო ცნობილი პიანისტი, კომპოზიტორი და ბენდის ლიდერი; ბაბუა -კლასიკური დანზონის ავტორი; ხოლო, ძმები - პროფესიონალი მუსიკოსები. რუბალკაბა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით. ექვსი წლისა, უკვე, მამის ორკესტრში უკრავდა დრამზე. მან რვა წლის ასაკში დაიწყო მუსიკის შესწავლა და როგორც თავად ამბობს, მხოლოდ „დედის გულის მოსაგებად” აირჩია ფორტეპიანო ძირითად ინსტრუმენტად. იგი, მოზარდობის ასაკშივე მუშაობდა ჰავანის სასტუმროებსა და ჯაზ კლუბებში, როგორც პიანისტი, ისე - დრამერი. გონზალო სწავლობდა ჰავანის სახვითი ხელოვნების უნივერსიტეტში კომპოზიციის სპეციალობით. მან სწავლის დასრულებისთანავე შედგა ფეხი პოპულარული მუსიკოსის თავბრუდამხვევ ცხოვრებაში, დაიწყო რა საერთაშორისო ტურნეები კუბაში, ევროპაში, აზიაში, აფრიკაში და, რაც მთავარია, იგი წარსდგა ამერიკელი ჯაზის მსმენელის წინაშე.

1991 წელს, ის საცხოვრებლად გადავიდა დომინიკის რესპუბლიკაში, ხოლო 1996 წლიდან მაიამიში დასახლდა.

რუბალკაბა აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი არტისტი თანამედროვე ჯაზის სამყაროში. მისი საკომპოზიციო შემოქმედება, პიანიზმი და ინსტრუმენტისადმი დამოკიდებულება, სრულიად განსხვავებულ და ახლებურ ლანდშაფტს შლის მსმენელის წინაშე. მისი ნაწარმოებები აერთიანებს ჯაზის, კლასიკური მუსიკისა და აფრო-კუბური ტრადიციების ელემენტებს და ქმნის ახალ მიმართულებებს.

2010 წელს გონზალომ ბიზნესმენ გარი გალიმიდისთან ერთად დააარსა დამოუკიდებელი ლეიბლი 5Passion Records, რომელმაც გამოსცა არა მხოლოდ მისი, არამედ ისეთი დიდი მუსიკოსების ალბომებიც, როგორებიცაა: უილ ვინსონი, იგნასიო ბეროა, იოსვანი ტერი და სხვები.

2020 წელს, მოხდა 5Passion Records - ის რესტრუქტურიზაცია და დაიწყო თანამშრომლობა ბიზნესმენ არიელ ლოპესთან. 2021-ში, სტუდიამ გამოსცა ალბომი “SKYLINE “, რომელიც, მომდევნო წელს, გრემით დაჯილდოვდა კატეგორიაში - საუკეთესო ჯაზ-ინსტრუმენტული ალბომი; და აამრიგად, გონზალო რუბალკაბა გახდა პირველი ლათინო-ამერიკელი მუსიკოსი, ვინც ამ კატეგორიაში გრემი მოიპოვა, როგორც ჯგუფის ლიდერმა.

მუსიკალური განათლებისადმი და სწავლებისადმი დიდი ინტერესიდან გამომდინარე, მან, 2015 წელს დაიწყო მუშაობა Frost School of Music - ში, მაიამი. 2020 წელს კი საკუთარი აკადემია დააარსა (“Rubalcademy”), რომელიც მუსიკოსებს მსფოლიოს ყველა წერტილში სთავაზობს გაკვეთილებს დისტანციურად.

რუბალკაბას შემოქმედება და დისკოგრაფია უმაღლესი შეფასებით სარგებლობს მუსიკალურ წრეებსა და მუსიკის კრიტიკოსებს შორის. იგი განთქმულია, როგორც ვირტუოზი პიანისტი და ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა აფრო-კუბურ ჯაზში. მის შესახებ ქვეყნდება სტატიები ისეთ გამოცემებში, როგორებიცაა: Wall Street Journal, NPR, DownBeat, Chicago Tribune და სხვ.

GONZALO RUBALCABA piano

In 1999, the multi-Grammy Winner, pianist, and composer Gonzalo Rubalcaba was selected by Piano & Keyboard Magazine as one of the great pianists of the 20th century, alongside figures such as Glenn Gould, Martha Argerich and Bill Evans.

He has won three Grammys (Nocturne (2001); Land of the Sun (2004); two collections of Latin ballads and boleros recorded with bassist Charlie Haden and SKYLINE (2022), a reunion of old friends Ron Carter and Jack DeJohnette) and Four Latin Grammys, 21 Grammys nominations and he has been awarded the EMPIK Bestsellers prizes, a "Les Victoires du Jazz" and "Palmarés", awarded by the prestigious institution "Grand Prix De L'ACADEMIE DU JAZZ".

In 2008 he was awarded the ASCAP Foundation "VANGUARD AWARD" for his work as a Composer and Pianist whose innovative and distinctive music is charting new directions in Jazz.

Gonzalo was born on May 27, 1963, into a musical family in Havana. His father was a pianist,

composer, and bandleader; his grandfather was the composer of classic danzónes, and his two brothers were also musicians.

Gonzalo, a child prodigy who by the age of 6 was playing drums in his father's orchestra, started his formal training two years later. He chose the piano as his main instrument to, as he once recalled, "just to please my mother." He graduated from the Institute of Fine Arts in Havana with a degree in composition and by his midteens he was working as both drummer and pianist in the hotels, concert halls and jazz clubs of Havana. Following graduation, he stepped right into the life of the popular musician, touring Cuba, Europe, Africa, Asia and finally got the chance to showcase his talent before jazz audiences in the United States.

Rubalcaba moved to the Dominican Republic in 1991 and settled in Miami in 1996.

Gonzalo Rubalcaba is recognized as one of the most important jazz musicians. His compositional work and innovative piano playing have opened new perspectives in jazz. These innovative works combine jazz, classical, and Afro-Cuban influences.

In 2010, Gonzalo founded 5Passion Records with the businessman Gary Galimidi, and since

then, the label has not only released Rubalcaba's latest recordings but also albums by artists such as Will Vinson, Ignacio Berroa, Yosvany Terry and many more.

In 2020, his independent Record label 5Passion was restructured in partnership with the businessman Ariel López, and released the album SKYLINE (2021). The album won the Grammy® Award in the category of Best Jazz Instrumental Album (2022), with Rubalcaba becoming the first Latin American musician to do so as a leader in the Best Instrumental Jazz Album category.

Reflecting his interest in music education, Rubalcaba joined the faculty of the University of

Miami's Frost School of Music in 2015. In 2020, he founded his own academy (Rubalcademy), offering remote Masterclasses to musicians across the world.

His discography production has, as a rule, highly admired by specialized critics. This virtuoso pianist and extraordinary musician, considered one of the leading artists in Afro-Cuban jazz, has received worldwide acclaim from outlets such as the Wall Street Journal, NPR, Downbeat, the Chicago Tribune, and others.

რიკარდო როდრიგესი ბასი

რიკარდო "რიკი" როდრიგესი დაიბადა პუერტო-რიკოში, ქალაქ პონსეში; სწორედ აქ დაიწყო მან მუსიკის შესწავლა. 2004 წელს, პუერტო-რიკოს კონსერვატორიაში, სადაც სწავლობდა პროფესორების ფედერიკო სილვასა და ხოსე გაბრიელის ხელმძღვანელობით, მას მიენიჭა კლასიკური ბასის შემსრულებლის ბაკალავრის ხარისხი. ამის შემდეგ, სამემსრულებლო უნარების განვითარებისა და დახვეწის მიზნით, რიკი გადავიდა ნიუ-იორკში და სწორედ ამ დროიდან, მისი ინტერესის ერთადერთი საგანი ჯაზი გახდა. იგი გაკვეთილებს იღებდა მისი ორი კუმირისგან, ესენია: ლარი გრენადიერი და სკოტ კოლი.

საკმაოდ მოკლე დროში, რიკი, უკვე უკრავდა მსოფლიოში სახელგანთქმულ მუსიკოსებთან ერთად; მათ შორის: დავით სანჩესის კვარტეტი, ბრენფორდ მარსალისი, მიშელ როუზუმენი, მიგელ ზენონის კვარტეტი, ადამ როჯერსი, ლაიონელ ლუკი, კლარენს პენი, იგნასიო ბეროას კვარტეტი, დეივ სამუელი, დეივ შნიტერი, ჯენის სიგელი, ჯო ლოკდი, მარლონ საიმონი, პედრიტო მარტინესი, მაირა კასალსი, ძმები როდრიგესები, ოსმანი პარედესის კვარტეტი, პაპო ვასკესი, სამუელ ტორესის ბენდი, კრისტოს რაფალიდესი, მანჰეტენ ვაიბსი, აფრო-კუბური ბიგბენდი, აფრო-ლათინური ჯაზ ორკესტრი, მიშელ კამილოს ტრიო და მრავალი სხვა.

რიკი როდრიგესი თანამშრომლობს თანამედროვე ლათინური ჯაზის გიგანტებთან, ისეთ ლეგენდარულ მუსიკოსებთან, როგორებიცაა: რეი ბარეტო, ენდელ დუენიო, ჯოვანი იდალგო, ჯერი გონსალესი, ჩუჩიტო ვალდესი, ტონი ლუხანი, ერიკ ფიგუეროას ტრიო, მენდი ვისოსო და მისი ორკესტრი. ასევე, რა თქმა უნდა ჯაზის ოსტატები - ბრენფორდ მარსალისი, დანილო პერესი, დავიდ სანჩესი და იგნასიო ბეროა.

2006 წელს, რიკიმ ამერიკის შეერთებული შტატების სახელით მიიღო მონაწილეობა ლინკოლნ ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროექტში "The Rhythm Road Program", რომლის ფარგლებშიც შედგა მსოფლიო ტურნე "ჯაზის ელჩები".

რიკი როდრიგესი სისტემატურად იღებს მონაწილეობას ყველაზე მნიშვნელოვან ჯაზ ფესტივალებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით; მათ შორის: საფრანგეთში, იტალიაში, რუსეთში, აფრიკაში, ლონდონში, ალმატში, ისრაელში, სამხრეთ ამერიკაში.

მისი სოლო ალბომი, Ricky Rodríguez Group: "Looking Beyond" გამოვიდა 2016 წლის 15 ივნისს, Destiny Record-ის ლეიბლით.

RICKY RODRIGUEZ bass

Ricardo "Ricky" Rodríguez was born in Ponce, Puerto Rico, where he also started his music studies. He received his Bachelor of Music in Classical Bass performance under the tutelage of professors Federico Silva and Jose García at the Conservatory of Music of Puerto Rico in 2004. Having mastered classical music, Ricky moved to New York City to experiment and increase his musical development in different musical style: Jazz. He took private lessons with two of his bass heroes, Mr. Larry Grenadier and Mr. Scott Colley.

Within a year, Ricky was performing with internationally distinguished musicians such as: David Sánchez Quartet, Branford Marsalis, Michele Rosewoman, Miguel Zenón Quartet, Adam Rogers, Lionel Loueke, Clarence Penn, Ignacio Berroa Quartet, Dave Samuel, Dave Schnitter, Janis Siegel, Joe Locked, Marlon Simon, Pedrito Martínez, Mayra Casales, the Rodríguez Brothers, Osmany Paredes Quartet, Papo Vázquez, The Samuel Torres Band , Cristos Rafalides, the Manhattan Vibes, Afro-Cuban Big Band, The Afro Latin Jazz Orchestra, Michel Camilo's trio and many others.

Since then, Ricky has performed with some of the giants in Latin Jazz today. These included

performances with legendary jazz icons such as: Ray Barretto, Endel Dueño, Giovanni Hidalgo, Jerry González, Chuchito Valdéz, Tony Lujan, Erik Figueroa trio, Mandy Visoso and his orchestra, as well as memorable performances with masters such as: Branford Marsalis, Danilo Pérez, David Sánchez, and Ignacio Berroa.

In 2006, Ricky represented the United States in a world tour known as "The Jazz Ambassadors," as part of the 2006 Jazz at Lincoln Center American Music Abroad "The Rhythm Road Program."

Ricky has performed around the world in the most important Jazz Festivals in France, Italy, Russia, Africa, London, Almaty, Israel, South America, Turkey, Budapest and United States. His solo album, Ricky Rodríguez Group: "Looking Beyond" was released June 15th, 2016 under Destiny Record Label.

ერნესტო სიმფსონი დასარტყამი

ერნესტო სიმფსონის, მსოფლიო რანგის დრამერისა და პერკუსიონისტის შემოქმედებითი და ცხოვრებისეული გამოცდილება მოიცავს სხვადასხვა კონტინენტსა და მუსიკალურ ჟანრს, რომელთა შორისაა აფრო-კუბური მიმართულება, ჯაზი, ფანკი, ფიუჟენი, პოპი, R&B და ბრაზილიური მუსიკა.

კარიერის დასაწყისიდანვე, მისი სასცენო პარტნიორები იყვნენ გამოჩენილი მუსიკოსები: დიზი გილესპი, კარმენ მაკრეი, ჩუჩო ვალდესი, არტურო სანდოვალი, ჰერბი ჰენკოკი, მაიკლ ბრეკერი, პაკიტო დ'რივერა, მაიკ სტერნი, როი ჰარგროუ, ჯეიმს გენუსი, აირტო მორეირა, მარკოს ვალე, ემილიო სანტიაგო, ტიტო პუენტე, რეი ბარეტო, ჯოვანი ჰიდალგო, ედი პალმიერი; და უკანასკნელ წლებში რიჩარდ ბონა და გონზალო რუბალკაბა.

ERNESTO SIMPSON drums

Ernesto Simpson is a World Class Drummer & Percussionist whose life experience took him across continents and exposed to all kinds of musical genres, from his Afro-Cuban roots to Jazz, Funk, Fusion, Pop, R&B, as well as Brazilian.

From the very beginning of his career, he has been sharing the stage with Dizzy Gillespie, Carmen McRae, Chucho Valdes, Arturo Sandoval, Herbie Hancock, Michael Brecker, Paquito D'Rivera, Mike Stern, Roy Hargrove, James Genus, Airto Moreira, Marcos Valle, Emilio Santiago, Tito Puente, Ray Barretto, Giovanni Hidalgo, Eddy Palmieri and most recently Richard Bona and Gonzalo Rubalcaba to name a few.

დეკემბერი 10 DECEMBER 19:00

საორგანო მუსიკის საღამო

რომან კრასნოვსკი

უკრაინა / ისრაელი

ORGAN MUSIC EVENING

ROMAN KRASNOVSKY

UKRAINE / ISRAEL

რომან კრასნოვსკი ორგანი

რომან კრასნოვსკი დაიბადა ქალაქ დონეცკში (უკრაინა) 1955 წელს. მან ხუთი წლის ასაკში დაიწყო ფორტეპიანოზე დაკვრა და მალევე გადაწყვიტა, რომ ცხოვრებას მუსიკას დაუკავშირებდა. ბავშვობის წლებში მას კომპოზიციის გაკვეთილებს უტარებდა კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი, რომელმაც ურჩია სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა მასთან გაეგრძელებინა მოსკოვის კონსერვატორიაში - კომპოზიციის მიმართულებით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიტორს უდიდესი გავლენა ჰქონდა ახალგაზრდა ყმაწვილზე, რომან კრასნოვსკის მოწოდება იყო მუსიკის ინტერპრეტირება და შესრულება და არა მისი შექმნა.

1970 წელს, იგი სამუსიკო კოლეჯის სტუდენტი და ამავე დროს დონეცკის ფილარმონიული საზოგადოების ორკესტრის სოლისტი გახდა. მოგვიანებით სწავლა განაგრძო ხარკოვის ხელოვნების აკადემიაში, სადაც 1979 წლამდე აქტიურ საშემსრულებლო საქმიანობას ეწეოდა. როგორც სტუდენტი, ის ხშირად მართავდა კონცერტებს ხარკოვის ფილარმონიული საზოგადოების ორკესტრთან ერთად - უკრავდა ფორტეპიანოზე, ჰარფსიკორდსა და ჩელესტაზე; ასრულებდა რახმანინოვისა და პროკოფიევის საფორტეპიანო კონცერტებს, გერშვინის „რაფსოდია ბლუზის სტილში“ და იოჰან სებასტიან ბახის ექვსივე კონცერტს ჰარფსიკორდისათვის. საკმაოდ მოკლე დროში, მან სრულად შეისწავლა და ასრულებდა ჰარფსიკორდისათვის დაწერილ ბახის ყველა ნაწარმოებს.

1986-1989 წლებში, რომან კრასნოვსკი ორგანის სპეციალობით სწავლობდა გორკის კონსერვატორიაში (ახლანდელი ნიჟნი ნოვგოროდი, რუსეთი), პროფესორ გალინა კოზლოვას კლასში; პარალელურად, საშემსრულებლო ოსტატობის დახვეწის მიზნით, იგი მიმართავდა წამყვან პროფესორებს გერმანიაში, ავსტრიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

1990 წელს, მუსიკოსი ისრაელში ემიგრირდა და ცხოვრობს ქალაქ კარმიელში (ჩრდილოეთ გალილეა), სადაც სულ ახლახანს დააფუძნა რეგულარული „საორგანო კონცერტების სერია“.

1993-1997 წლებში, კრასნოვსკი გახლდათ ასისტენტ პროფესორი „რუბინის მუსიკისა და ცეკვის აკადემია“-ში (იერუსალიმი). ამჟამად, კი კარმიელის კონსერვატორიის პროფესორია. იგი კონცერტებს მართავს ავსტრიაში, გერმანიაში, ნიდერლანდებში, შვეიცარიაში, იტალიაში, ა.შ.შ.-ში და მასტერკლასებს ატარებს საორგანო სხვადასხვა პროგრამისა და კურსის ფარგლებში.

მისი რეპერტუარის ფართო სპექტრი მოიცავს ბაროკოსა და კლასიციზმის ეპოქებს, რომანტიზმსა და 21-ე საუკუნის მუსიკას. მუსიკოსი განსაკუთრებითაა დაინტერესებული ოლივიე მესიანისა და ფრანსის პულენკის შემოქმედებით.

ოცწლიანი წყვეტის შემდეგ, ისრაელის პრემიერ-მისიტრის იცხაკ რაბინის ტრაგიკული მკვლელობით შეძრული, რომან კრასნოვსკი კომპოზიციას დაუბრუნდა და დაწერა „იცხაკ რაბინის გლოვა“ - საორგანო ნაწარმოები, რომელიც პირველად შეასრულა მის ყოველწლიურ ევროპულ ტურნეში. ნაწარმოებმა, ისევე, როგორც კომპოზიტორის ინტერპრეტაციამ და საშემსრულებლო ხედვამ, კიოლნისა და ფრანკფურტის მსმენელისა და პრესის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

რომან კრასნოვსკის მრავალი საორგანო ნაწარმოები აქვს დაწერილი; მათ შორისაა 3 სიმფონია ორგანისთვის.

ROMAN KRASNOVSKY Organ

Roman Krasnovsky was born in Donetsk, Ukraine, in 1955. At the age of five he began to play the piano, and soon afterwards, he decided to make music his livelihood.

As a child R. Krasnovsky took lessons with the composer Aram Khatchaturian who urged the young fellow to study composition with him at Moscow conservatory after the high school. Despite the overwhelming impressions the great mentor made over the teenager, Krasnovsky stopped his composition activities to become an interpreter of music, other than a creator.

He entered the Music College in 1970 and concurrently began to perform in public as a soloist of the Symphony orchestra of the Donetsk Philharmonic Society. Later on, he continued his studies at the Art Academy of Kharkiv, Ukraine, until 1979.

As a student he cooperated with the Symphony Orchestra of the Kharkiv Philharmonic Society where he played keyboard instruments such as piano, harpsichord and celesta. He frequently performed as a soloist with the symphony orchestra, playing piano concerti of Rachmaninoff, Prokofiev, Gershwin's Rhapsody in blue, and Johann Sebastian Bach's six harpsichord concertos. Continuing to pursue his solo career he performed Bach's entire works for harpsichord.

In 1986-1989 Mr. Krasnovsky studied the organ under Professor Galina Kozlova at the Conservatory of Gorky, now Nizhni Novgorod, Russia; and at the same time, he perfected his artistic mastery with leading organ professors in Germany, Austria, etc.

Roman Krasnovsky immigrated to Israel in 1990, and now lives in Carmiel (northern Galilee) where he just recently established the series of regular organ recitals.

He taught at the „Rubin Academy of Music and Dance" in Jerusalem as an assistant professor from 1993 to 1997. Currently, he is a piano professor at the Conservatory of Carmiel.

In different years extending up to the present time Roman Krasnovsky has performed in Austria, Germany, the Netherlands, Switzerland, Italy and the United States; and has taught masterclasses in the frames of various organ courses. His repertoire encompasses a broad spectrum of music ranging from the Baroque to the Classical eras, and from Romanticism to music of the Twentieth Century.

He is particularly committed to Olivier Messiaen and Francis Poulenc.

After a twenty-year hiatus in composing, the tragic assassination of the Israeli Prime Minister Itzhak Rabin brought Mr. Krasnovsky back to composition. "Mourning Itzhak Rabin", an organ piece, was first performed on Krasnovsky's annual winter tour in Europe. Both the Cologne and Frankfurt public and press highly praised the work along with the interpretation of the composer.

Roman Krasnovsky has composed a great number of original organ compositions including 3 symphonies for organ.

პროგრამა | PROGRAMME

I

იოჰან სებასტიან ბახი (1685-1750)	პრელუდია და ფუგა, მი მინორი, BWV 548
იოჰან სებასტიან ბახი (1685-1750)	„გულწრფელად გნატრობ", BWV 727
იოჰანეს ბრამსი (1833-1897)	„გულწრფელად გნატრობ", თხზ. 122/10
იოჰანეს ბრამსი (1833-1897)	პრელუდია და ფუგა, ლა მინორი, WoO9
რომან კრასნოვსკი (1955*)	კორონატოკატა, თხზ. 19

II

გეორგი კურკოვი (უკრაინელი კომპოზიტორი) (1954*)	"ტელენკა"
იოჰან სებასტიან ბახი (ა. ვივალდის მიხედვით) 596 (1685-1750)	კონცერტი რე მინორი, BWV
ფელიქს მენდელსონ-ბართოლდი (1809 – 1847)	სონატა N5, რე მაჟორი, თხზ. 6
იოჰან კრისტიან ჰაინრიხ რინკი (1770-1846)	კონცერტი ფლეიტისათვის, თხზ.55 1. Allegro maestoso. 2. Adagio. 3. Rondo. Allegretto

I

JOHANN SEBASTIAN BACH (1685-1750)	Prelude and Fugue in E Minor, BWV 548
JOHANN SEBASTIAN BACH (1685-1750)	„Herzlich tut mich verlangen", BWV 727
JOHANNES BRAHMS (1833-1897)	„Herzlich tut mich verlangen", Op. 122/10
JOHANNES BRAHMS (1833-1897)	Prelude and Fugue in A Minor, WoO9
ROMAN KRASNOVSKY 1955*)	Coronatoccata, Op. 19

II

GEORGIJ KURKOV (Ukrainian composer) (1954*)	"Tylynka"
JOHANN SEBASTIAN BACH (after A. Vivaldi) (1685-1750)	Concerto in D Minor, BWV 596
FELIX MENDELSSOHN–BARTHOLDY (1809 – 1847)	Sonata N5, D Major, Op. 6
JOHANN CHRISTIAN HEINRICH RINCK (1770-1846)	Flute Concerto, Op. 55 1. Allegro maestoso. 2. Adagio. 3. Rondo

დეკემბერი 15 DECEMBER 19:00

ვოკალური მუსიკის საღამო

"ესპანური რიტმები"

ქეთევან ქემოკლიძე

საქართველო

ანდრეს სალადო

ესპანეთი

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი

VOCAL MUSIC EVENING

"SPANISH RHYTHMS"

KETEVAN KEMOKLIDZE

GEORGIA

ANDRÉS SALADO

SPAIN

TBILISI OPERA AND BALLET STATE THEATRE SYMPHONY ORCHESTRA

ქეთევან ქემოკლიძე მეცო-სოპრანო

ქართველ ვოკალისტთა ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, მეცო-სოპრანო ქეთევან ქემოკლიძემ დაამთავრა მილანის ლა სკალას აკადემია და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (პროფ. გ. კარიაულის კლასი), სადაც 2023 წელს მიენიჭა სამუსიკო ხელოვნების დოქტორის წოდება.

იგი, წარმატებით გამოდის მსოფლიოს ისეთ წამყვან სცენებზე, როგორიცაა: მილანის ლა სკალა, ლონდონის კოვენტ გარდენი, ბარსელონას ლისეუ, ლოს ანჯელესის ოპერა, ბერლინის და რაინის დოიჩე ოპერები, დრეზდენის სემპეროპერა, ტულუზის კაპიტოლი, ვაშინგტონის ნაციონალური ოპერა, მადრიდის სამეფო თეატრი, ტოკიოს ნაციონალური თეატრი, ნეაპოლის სან კარლოს თეატრი, ვარშავის ვიელკის თეატრი, პარმის და ტურინის სამეფო თეატრები, ვენეციის ფენიჩე, ოვიედოს ოპერა, ბარის პეტრუცელის, რომის და ტრიესტეს საოპერო თეატრი, გრაცის, ბილბაოს, ლაიფციგის, ბოსტონის ოპერა, მონპელიეს, მარსელის, ნიცის და ავინიონის საოპერო თეატრები, მადრიდის სარსუელას თეატრი, ისრაელის, კებეკის და ლუზანის ოპერა, პალერმოს მასიმოს და სევილიის მაესტრანცას საოპერო თეატრი, ვერონის ფილარმონიული თეატრი, სანტიაგოს მუნიციპალური თეატრი, ბაზელის, პალმა დე მაიორკის და მაოს ოპერა, პამპლონას ბალუარტე, მონტე-კარლოს და მალმოს თეატრი, ბარსელონას და ვალენსიის პალაუ დე ლა მუზიკა, თესალონიკის მეგარონი, სარაგოსას აუდიტორიუმი, თბილისის ოპერა და სხვ.

ქეთევან ქემოკლიძე სისტემატურად იღებს მონაწილეობას საერთაშორისო პრესტიჟულ ფესტივალებში: არენა დი ვერონას და რომის კარაკალას ფესტივალები; გრანადას, პუჩინის, სპოლეტოს, მაჩერატას, სფერსტერიოს, ვექსფორდის, მაიფესტსპილეს, ანნესის, ელ ესკორიალის, სანსეს, ბრატისლავის, ვენეტოს, დონასტიას, ალ ბუსტანის, წინანდლის, შემოდგომის თბილისი და სხვა.

ქეთევან ქემოკლიძემ უდიდესი წარმატებით შეასრულა ადრიანა ფერარეზეს (დონა ელვირას) როლი ლეგენდარული ესპანელი რეჟისორის კარლოს საურას ფილმში “მე, დონ ჯოვანი“.

ქეთევანის ტალანტმა გამარჯვება მოიპოვა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსზე, მათ შორისაა: პლასიდო დომინგოს “ოპერალია”, ტულუზის, ბარსელონას, ბელვედერის, ე. ობრაზცოვას და საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსები.

მისი დისკოგრაფია მოიცავს: როსინის “სევილიელ დალაქი”, გუნოს “რომეო და ჯულიეტა” და “ფაუსტი”, ვერდის “ოტელო”, ბერლინის ოპერნ-გალა, მასნეს “ტაისი”, შტრაუსის “სალომე”, მენდელსონის “ზაფხულის ღამის სიზმარი”.

ქეთევანი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა და ხშირად ატარებს მასტერკლასებს მსოფლიოს სხვა და სხვა წამყვან მუსიკალურ სასწავლებელში.

KETEVAN KEMOKLIDZE mezzo-soprano

In high demand by major theaters of the world for her extraordinary vocal and stage skills, Georgian mezzo-soprano Ketevan Kemoklidze studied at Teatro alla Scala Academy and at Tbilisi State Conservatoire (prof. G. Kariauli).

She successfully appears at many of the world's major opera houses including: Teatro alla Scala, Covent Graden, Teatre del Liceu, Washington National and Los Angeles Operas, Berlin and Düsseldorf Deutsche Operas, Teatro Real Madrid and Teatro de la Zarzuela, Tokyo National Theatre, Dresden Semper Oper, Teatro San Carlo in Naples, Teatro Regio in Turin and in Parma, La Fenice in Venice, Teatro Massimo in Palermo and in Catania and Teatro Verdi in Trieste, Ópera de Oviedo, Teatro Petruzzelli di Bari, Wiesbaden Staatstheater, Teatro de la Maestranza in Sevilla, Theater Wielk in Warsaw, Opera Nice, Oper Graz, Theatre Capitol Toulouse, Opera Marseille, Monte Carlo Opera, Montpellier Opera, Teatro Municipal in Santiago de Chile, Quebec, Lousanne, Leipzig, Basel, Israeli, Bilbao, Boston and Malmö operas, Teatro delle Muse in Ancona, Baluarte de Pamplona, Teatro Principal de Palma. Also Megaron in Thessaloniki, Berlin Philharmonic and etc.

Ketevan is a frequent and welcome guest at International Festivals: as Arena di Verona, Macerata and Caracalla Festivals, Sferisterio Opera Festival, Puccini Festival, Granada, Wexford, El Escorial, Spoletto, Maifestspiele, Sanxay, Donastia, Bratislava, Annecy, Veneto, Al Bustan, Tsinandali, "Autumn Tbilisi" Festivals and etc.

She actively collaborates with worldwide orchestras and directors. Her repertoire includes masterpieces from Barocco to contemporary works in the operatic as well as in chamber music. Kemoklidze is the winner of Placido Domingo Operalia, Toulouse, Barcelona, Belvedere, Obraztsova, the Georgian Competition for Musician-Performers.

Ketevan Kemoklidze made her outstanding film debut in Carlos Saura's Io Don Giovanni.

Her discography includes Rigoletto, Il barbiere di Siviglia, Romeo et Juliette, Faust, Thais, Otello, A Midsummer's night dream, Salome and Berlin AIDS Gala.

In 2023 Ketevan received the Doctorate of Musical Arts.

Ketevan Kemoklidze actively carries out pedagogic activities and has regularly been invited to give Masterclasses at various leading music institutions.

ანდრეს სალადო დირიჟორი

ანდრეს სალადო, ჟირონას პრინცესის პრემიის მფლობელი ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროში (2016), ვალიეისის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და კოსტა რიკას ეროვნული სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელია.

წარმატებული შემოქმედებითი კარიერის მქონე მუსიკოსი, დღესდღეობით ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო და მოთხოვნადი დირიჟორია. სიმფონიური და საოპერო მუსიკის სფეროში მას წამყვანი პოზიციები უკავია ესპანეთის მნიშვნელოვან ორკესტრებთან და ამავე დროს, მზარდი საერთაშორისო აღიარებით სარგებლობს. იგი, ოთხი წლის განმავლობაში, ესტრემადურის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი გახლდათ; და ასევე, თანამშრომლობდა: ესპანეთის ეროვნულ ორკესტრთან, ლუცერნის ფესტივალის აკადემიის ორკესტრთან, მეხიკოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან და მილანის ჯუზეპე ვერდის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან.

მიმდინარე სეზონზე, გარდა იმ ორი ორკესტრისა, რომელთაც იგი ხელმძღვანელობს, დირიჟორის შემოქმედებითი ანგაჟემენტები მოიცავს კონცერტებს ვროცლავის ფილარმონიულ ორკესტრთან (NFM Wrocóaw Philharmonic) და ესპანეთის ტელე-რადიო სიმფონიურ ორკესტრთან; აგრეთვე, ანდრეს სალადო დაბრუნდება კატალუნიის ოპერის თეატრში, სადაც უდირიჟორებს ვერდის ოპერას "ტრავიატა".

ანდრეს სალადოს ამოძრავებს კლასიკურ მუსიკაში საზღვრების გარღვევის დაუღალავი სურვილი. ის არის საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის – Ayuda en Acción-ის – ელჩი და ესპანეთის ეროვნული რადიოს სისტემატური შემომწირველი.

ANDRÉS SALADO coduncto

Awarded the Princess of Girona Prize for Arts and Letters (2016), Andrés Salado is Chief Conductor of the Vallès Symphony Orchestra and Artistic Director of the National Symphony Orchestra of Costa Rica.

With an established artistic career that has positioned him at the forefront of Spain's most important orchestras and with a growing international presence, Andrés Salado is currently one of the most interesting and sought-after conductors in the symphonic and operatic scene. He served as Principal Conductor of the Extremadura Symphony Orchestra for four years and his career, also, includes collaborations with the Spanish National Orchestra, the Lucerne Festival Academy Orchestra, the National Symphony Orchestra of Mexico, and the Giuseppe Verdi Symphony Orchestra of Milan.

This season, in addition to his commitments with the two orchestras he leads, highlights include performances with the NFM Wrocóaw Philharmonic and the Spanish Radio and Television Symphony Orchestra, as well as his return to Òpera Catalunya to conduct Verdi's La Traviata.

Known for his great versatility and tireless desire to break down barriers in classical music, Andrés Salado is an ambassador for the NGO "Ayuda en Acción" and a regular contributor to Spanish National Radio.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი

თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრის ისტორია 1851 წელს, თეატრის დაარსებასთან ერთად იწყება. ქვეყნის პირველმა პროფესიულმა ორკესტრმა, რომელიც იტალიელი შემსრულებლებისგან შედგებოდა და იტალიელი მევიოლინე და დირიჟორი ბარბიერი ხელმძღვანელობდა, პირველ თეატრალურ სეზონზე (1851-52) თორმეტი ოპერა შეასრულა.

1860 წლიდან ორკესტრმა დამოუკიდებელი საკონცერტო ცხოვრებაც დაიწყო და შენინგისა და კატანის ხელმძღვანელობით სიმფონიურ საღამოებს მართავდა. ამ ორკესტრის აკომპანემენტით გამოდიოდნენ სცენაზე იმ დროის გამოჩენილი შემსრულებლები: ტერეზა შტოლცი, ფიოდორ შალიაპინი, ეუჯენიო ჯირალდონი, ანტონ რუბინშტეინი, სერგეი რახმანინოვი. ორკესტრი თანხლებას უწევდა სანკტ-პეტერბურგის საბალეტო დასს (1852), იტალიურ საოპერო დასებს (1897-1898, 1910), ვენის საიმპერატორო ოპერეტას (1903), მოსკოვის და პეტერბურგის კომიკური ოპერის დასებს (1907), პეტერბურგის საიმპერატორო ბალეტს (1907, 1908, 1913) თავიანთი თბილისური გასტროლების დროს.

მეოცე საუკუნეში ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ ისეთი გამოჩენილი დირიჟორები, როგორებიც იყვნენ ევგენი მიქელაძე, ივანე და ვახტანგ ფალიაშვილები, ოდისეი დიმიტრიადი, გივი აზმაიფარაშვილი, ჯანსუღ კახიძე.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ორკესტრი თანამშრომლობდა ისეთ გამოჩენილ შემსრულებლებთან, როგორებიც არიან: პლასიდო დომინგო, ფერუჩო ფურლანეტო, ხოსე კარერასი, მიშელ კრაიდერი, დოლორა ზაჯიკი, მონსერატ კაბალიე, პაატა ბურჭულაძე, ბადრი მაისურაძე, ლადო ათანელი, იანო თამარი ალიბეგაშვილი, ალექსანდრე კორსანტია, ალექსანდრე თორაძე, ეთერ ანჯაფარიძე... დირიჟორებთან: არვო ვოლმერი, დან ეტინგერი, შუია ოკაცუ, ფარჰადინ კერიმოვი დანიელ ორენი, ჯაკომო საგრიპანტი, მარტინს ოზოლინსი და სხვები.

ორკესტრის წარმატებული საგასტროლო გეოგრაფია მოიცავს უნგრეთს, გერმანიას, საფრანგეთს, ისრაელს, მალტას, ესპანეთს, ლიბანს, შვეიცარიას. საოპერო დასთან ერთად ორკესტრი დიდი წარმატებით მონაწილეობდა დალჰალას საოპერო ფესტივალზე შვედეთში, დორე დელ ლაგო პუჩინის და ტალიაკოცოს ფესტივალებზე იტალიაში, ვერდის ფესტივალზე საქართველოში.

ორკესტრის მუსიკოსთა მაღალი შემოქმედებითი და პროფესიული დონის გათვალისწინებით, მის ბაზაზე 2006 წელს დაარსდა კამერული ორკესტრი, რომელიც რეგულარულად მართავდა კონცერტებს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. 2019 წელს, შეიქმნა კამერული ორკესტრი „ოპერის კამერატა“, რომელიც ინტენსიურად ასრულებს სხვადასხვა ეპოქის რეპერტუარს, ბაროკოდან თანამედროვე კომპოზიტორების ჩათვლით.

დღესდღეობით, ოპერის ორკესტრი 121 მუსიკოსს აერთიანებს, რომლებიც ხშირად გამოდიან სოლისტების ან ანსამბლისტების რანგში. ფართო საოპერო და საბალეტო რეპერტუარის გარდა, ორკესტრი ხშირად ასრულებს სიმფონიურ და ვოკალურ-სიმფონიურ მუსიკას, მონაწილეობს სამთავრობო და საქველმოქმედო კონცერტებში, თანამშრომლობს ჩვენი დროის გამოჩენილ არტისტებთან.

TBILISI OPERA AND BALLET STATE THEATRE SYMPHONY ORCHESTRA

The creative life of the Tbilisi State Opera Orchestra began when the opera house was built in 1851. The country's first professional orchestra, consisting of Italian performers, was led by the Italian violinist and conductor Barbieri and performed twelve Italian operas in its first season (1851-52).

From 1860 the orchestra began an independent concert life, giving symphonic concerts under the baton of Schenning and Catani. Together with the orchestra, the greatest artists performed on stage, among them Teresa Stolz, Feodor Chaliapin, Eugenio Giraldoni, Anton Rubinstein, Sergei Rachmaninoff... The orchestra took part in the performances of the theatres on tour: St. Petersburg Ballet Company (1852), Italian opera companies (1897-1898, 1910), Vienna Imperial Operetta (1903), Moscow and St. Petersburg comic operas (1907), St. Petersburg Imperial Ballet (1907, 1908, 1913).

In the 20th century, the Orchestra was conducted by such famous musicians as Yevgeny Mikeladze, Ivane and Vakhtang Paliashvili, Odysseas Dimitriadis, Givi Azmaiparashvili and Djansug Kakhidze.

In recent years, The orchestra collaborated with internationally renowned performers such as Placido Domingo, Ferruccio Furlanetto, José Carreras, Michèle Crider, Dolora Zajick, Montserrat Caballé, Paata Burchuladze, Badri Maisuradze, Lado Ataneli, Iano Tamar Alibegashvili, Alexandre Korsantia, Lexo Toradze, Eter Anjaparidze; with conductors: Arvo Volmer, Dan Ettinger, Shuya Okatsu, Fakhraddin Kerimov, Daniel Oren, Giacomo sagripanti, Mārtiņš Ozoliņš and others.

The orchestra has toured successfully to Hungary, Germany, France, Israel, Malta, Spain, Libanon, Switzerland... Together with the entire company, it has performed to great acclaim at the prestigious Dalhalla Opera Festival (Sweden), the Tore Del Lago Puccini Festival and Festival Internazionale di Mezza Estate che si terrà a Tagliacozzo (Italy), the Verdi Festival in Georgia.

Considering the high creative and professional level of the Orchestra musicians, a chamber orchestra was created in 2005, which regularly gave concerts in Georgia and abroad. In 2019, the artists of the orchestra created the chamber orchestra OPERA CAMERATA, which intensively performs a variety of repertoire - from the Baroque era to contemporary composers.

Today, the opera orchestra has 121 artists, who often perform solo concerts as soloists or as various ensemble members. In addition to opera and ballet repertoire, the orchestra frequently gives concerts of symphonic and vocal music, takes part in state and charitable events, and collaborates with renowned contemporary conductors and performers.

პროგრამა | PROGRAMME

I

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი	ოპერა „ფიგაროს ქორწინება“ უვერტიურა
ჯოაკინო როსინი	ოპერა „სევილიელი დალაქი“ როზინას არია „Una Voce Poco Fa"
ენრიკე გრანადოსი	ოპერა Goyescas ინტერმეცო
გაეტანო დონიცეტი	ოპერა „ფავორიტი ქალი“ ლეონორას არია „O mio Fernando“
ჟორჟ ბიზე	სიუიტა N2 „კარმენი“ „ბოჰემური ცეკვა“
ჟიულ მასნე	ოპერა „დონ კიხოტი“ დულსინეას არია „Alza! Alza!“
ჟორჟ ბიზე	ოპერა „კარმენი“ „ჰაბანერა“

II

ჯუზეპე ვერდი	ოპერა „ბედის ძალა“ უვერტიურა
ჯუზეპე ვერდი	ოპერა „დონ კარლოსი“ პრინცესა ებოლის არია „O don fatale“
ჯერონიმო ხიმენესი	სარსუელა „La Boda de Luis Alonso“ Allegretto
ფრანსისკო ა. ბარბიერი	სარსუელა “El Barberillo de Lavapiés“ „პალომას სიმღერა
რუპერტო ჩაპი	სარსუელა „Las hijas del Zebedeo“ ლუიზას რომანსი

I

WOLFGANG AMADEUS MOZART	Opera „The Marriage of Figaro“ Overture
GIOACCHINO ROSSINI	Opera „The Barber of Seville“ Rosina's Aria „Una Voce Poco Fa“
ENRIC GRANADOS	Opera „Goyescas” Intermezzo
GAETANO DONIZETTI	Opera „La Favorita“ Leonora's Aria „O mio Fernando“
GEORGES BIZET	Suite N2, „Carmen“ „Bohemian Dance“
JULES MASSENET	Opera „Don Quichotte“ Dulcinea's Aria „Alza! Alza!“
GEORGES BIZET	Opera „Carmen“ „Habanera“

II

GIUSEPPE VERDI	Opera „La Forza del Destino“ Overture
GIUSEPPE VERDI	Opera „Don Carlo“ Princess Eboli's Aria „O don fatale“
GERÓNIMO GIMÉNEZ	Zarzuela „La Boda de Luis Alonso“ Allegretto
FRANCISCO A. BARIBIERI	Zarzuela “El Barberillo de Lavapiés“ „Paloma's Song”
RUPERTO CHAPÍ	Zarzuela „Las hijas del Zebedeo“ Luisa's Romanza

დეკემბერი 17 DECEMBER 19:00

კამერული მუსიკის საღამო

მარიო ბრუნელო
ჩელო
იტალია

გიორგი ვაჩნაძე
ფორტეპიანო
საქართველო / აშშ

CHAMBER MUSIC EVENING

MARIO BRUNELLO
CELO
ITALY

GEORGE VATCHNADZE
PIANO
GEORGIA / USA

გიორგი ვაჩნაძე ფორტეპიანო

გიორგი ვაჩნაძე - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, საერთაშორისო აღიარების ქართველი პიანისტი, ეწევა აქტიურ საშემსრულებლო და აკადემიურ საქმიანობას. წარმატებით მართავს კონცერტებს აშშ-ში, კანადაში, ნიდერლანდებში, ფინეთში, იტალიაში, იაპონიაში, გერმანიაში, ტაივანში, არგენტინაში, დიდ ბრიტანეთში, ისრაელში. მონაწილობა აქვს მიღებული საერთაშორისო ფესტივალებში: ზალცბურგის ფესტივალი, მაისის სამუსიკო ფესტივალი („Maggio Musicale Festival“), სტრეზას ფესტივალი („Stresa Festival“), გილმორის საფორტეპიანო მუსიკის ფესტივალი („Gilmore Piano Festival“), რავენას ფესტივალი („Ravenna Festival“), ჰოლივუდის ფესტივალი („Hollywood Bowl Festival“), რავინიას ფესტივალი („Ravinia Festival“), როტერდამის ფილარმონიის ფესტივალი („Rotterdam Philarmonic Festival“), თეთრი ღამეების ფესტივალი („White Nights Festival“), მიქელის ფესტივალი („Mikkeli Festival“); ლონდონის ვიგმორისა („London Wigmore Hall“) და კოვენტ გარდენის („Covent Garden“), სტრავინსკისა და შოსტაკოვიჩის სახელობის ფესტივალები („Stravisnky and Shostakovich Festivals“) ვაშინგტონში, ვუდსტოკის ფესტივალი („Woodstock Festival“) ნიუ-იორკში, სტენფორდის სტრავინსკის სახელობის ფესტივალი („Stanford Stravinsky Festival“), წყნარი ოკეანის სიმფონიური მუსიკის რახმანინოვის სახელობის ფესტივალი („Pacific Symphony Rachmaninoff Festival“), ტაივანის ხელოვნების ფესტივალი („SYArts Festival“), მარიინსკის საფორტეპიანო მუსიკის ფესტივალი („Mariinsky Piano Festival“).

გიორგი ვაჩნაძე თავდაპირველად სწავლობდა № 9 სამუსიკო სკოლაში (ე. მიქელაძის სახ. ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი). მისი პირველი პედაგოგი იყო ლარისა ბახტაძე. სწავლა გააგრძელა ზ. ფალიაშვილის სახ. „ნიჭიერთა ათწლედში“ და შემდგომ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, პროფესორ ვანდა შიუკაშვილის კლასში. 1990 წლიდან აკადემიური მოღვაწეობა განაგრძნო ნიუ-იორკის მანესის მუსიკალურ კოლეჯში (Mannes College of Music in New York), არკადი არანოვის სტუდიაში. 1992 წელს შეუერთდა ამერიკაში მცხოვრები დიდი ქართველი პიანისტის ალექსანდრე (ლექსო) თორაძის ახლად დაარსებულ სტუდიას ინდიანას უნივერსიტეტში (Indiana University South Bend). ლექსო თორაძესთან პროფესიულმა თანამშრომლობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა გიორგი ვაჩნაძის საშემსრულებლო და პედაგოგიური მოღვაწეობის გზაზე. იგი მრავალი საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსის (Palm Beach Invitational Competition (1998), World Piano Competition (1997), Alabama Competition 1996, Gina Bachauer Competition (1994)) გამარჯვებული და მონაწილეა.

პიანისტის დებიუტი შედგა 1997 წელს ედინბურგის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე სენსაციური გამოხმაურებებით და მიიღო გაზეთ „შოტლანდიის მაცნეს“ (Scottish Herald) მიერ დაწესებული „მაცნე ანგელოზის ჯილდო“ (Herald Angel Award). 1999 წელს გიორგი ვაჩნაძის გამოსვლას ნიუ-იორკში ლინკოლნ ცენტრის Alice Tully Hall-ში კრიტიკოსი და მწერალი ფაუბიონ ბაუერსი ასე გამოეხმაურა: „ვაჩნაძე არის სრულყოფილი ხელოვანი, რომელიც ახლა საკუთარი ინტელექტუალური და მუსიკალური პოტენციალის მწვერვალშია. მისი შესაძლებლობები ფორტეპიანოსთან მიმართებით განუსაზღვრელია. მისი კონტროლის ქვეშ არის როგორც დელიკატური პიანიზიმი, ასევე ფართო დიაპაზონი... „

გიორგი ვაჩნაძეს შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებდა და აკავშირებს ცნობილ დირიჟორებთან: ჯანსუღ კახიძე, პაავო იარვი, ნორიჩიკა იმორი, ჯანანდრეა ნოზედა, ვალერი გერგიევი, ვლადიმერ ფედოსეევი, და სხვები.

აკადემიურ-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა დეპოლის (DePaul University), (2011-2024), მიჩიგანისა (Michigan State University), (2004-2011) და ინდიანას (Indiana University, (2002-2005) უნივერსიტეტებში. ამჟამად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორია. ატარებს მასტერკლასებს მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა სამუსიკო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ფესტივალებზე. იგი არის იტალიის „ლესას ვილლა სანდრას საერთაშორისო საფორტეპიანო აკადემიის“ (Villa Sandra International Piano Academy in Lesa (Lago Maggiore) დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. მის სტუდენტებს მოპოვებული აქვთ უმაღლესი ჯილდოები და პრიზები სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებზე მსოფლიოს მასშტაბით.

GEORGE VATCHNADZE piano

George Vatchnadze, rector of the Tbilisi State Consrrvatoire, acclaimed Georgian pianist, has actively carried out his artistic and academic activities. He successfully appears with orchestras and in recitals throughout the United States, Canada, Great Britain, Netherlands, Finland, Italy, Germany, Russia, Japan, Taiwan, Israel.

He has performed at the Salzburg Festival, Maggio Musicale Festival, Stresa Festival, Gilmore Festival, Ravenna Festival, Hollywood Bowl Festival, Ravinia Festival, Rotterdam Philarmonic Festival, „White Nights Festival", Mikkeli Festival; also, London Wigmore Hall, Covent Garden, „Stravisnky and Shostakovich Festivals in Washington, Woodstock Festival in New York, Stanford Stravinsky Festival, Pacific Symphony Rachmaninoff Festival, SYArts Festival, Mariinsky Piano Festival.

George Vatchnadze started his musical education at the E. Mikeladze Central Music School, where his ever first piano teacher was Larisa Bakhtadze. Later he entered the Tbilisi Central Music School for Gifted Children and after finishing it, he pursued his education at the Tbilisi State Conservatoire under the guidance of Professor Wanda Shiukashvili, one of the patriarchs of Georgian piano school.

In 1990, Mr. Vatchnadze moved to the United States where he continued his studies at Mannes College of Music in New York, at Arkady Aronov's studio. In 1992, he joined the newly established studio of the great Georgian American pianist Alexander (Lexo) Toradze at Indiana University South Bend.

Studies and working collaboration with Lexo played a decisive role in Mr. Vatchnadze's carrier as performer and teacher. In 1993, he became Toradze's assistant and then went on to win numerous international piano competitions including the 1994 Gina Bachauer Competition, the 1998 Palm Beach Invitational Competition, the 1996 Alabama Competition, and the 1997 World Piano Competition.

In 1997 Mr. Vatchnadze made a sensational recital debut at the Edinburgh International Music Festival and received the „Herald Angel Award" presented by the „Scottish Herald" newspaper. In 1999 Mr. Vatchnadze made his New York recital debut at Lincoln Center's Alice Tully Hall. Critic and writer Faubion Bowers wrote in American Record Guide: „Vatchnadze is a consummate artist, now at the height of his musical and intellectual powers. He can do absolutely anything he wants at the piano. He commands delicate pianissimi, massive diapasons and everything in between".

He has collaborated with prominent conductors such as Jansug Kakhidze, Paavo Jarvi, Norichika Iimori, Gianandrea Noseda, Valery Gergiev, Vladimir Fedoseev and many others.

Mr. Vatchnadze has been on faculties of DePaul University (2011 – 2024), Michigan State University (2004 – 2011) and Indiana University (2002 – 2005). Currently, he is the Tbilisi State Conservatoire Professor. Mr. Vatchnadze conducts master- classes at various educational institutions and festivals around the world. Throughout his teaching career, his students have won top prizes at numerous international competitions and have performed extensively throughout the world. Mr. Vatchnadze is the founder and artistic director of the Villa Sandra International Piano Academy in Lesa (Lago Maggiore), Italy.

მარიო ბრუნელო ჩელო

მარიო ბრუნელო, მისი თაობის ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივი და მოთხოვნადი არტისტია. სოლისტი, კამერული მუსიკის შემსრულებელი და დირიჟორი, ჩელო პიკოლოს "პიონერია". იგი პირველი ევროპელია, რომელმაც ჩაიკოვსკის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვება მოიპოვა (1986 წ.) უზადო მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მუსიკოსის მდიდარი რეპერტუარი მოიცავს, როგორც ადრეული ეპოქის მუსიკას, ისე თანამედროვე ნაწარმოებებს.

უაღრესად ემოციური და მკვეთრად ინდივიდუალური საშემსრულებლო სტილის მქონე შემსრულებელი სხვადასხვა წლებში თანამშრომლობდა ისეთ უდიდეს დირიჟორებთან, როგორებიცაა: ანტონიო პაპანო, მიონგ-ვუნ ჩუნგი, იური ტემირკანოვი, ზუბინ მეტა, ტონ კუპმანი, მანფრედ ჰონეკი, რიკარდო მუტი, დანიელე გატი, სეიჯი ოძავა, რიკარდო ჩაილი და კლაუდიო აბადო.

იგი სისტემატურად მართავს კონცერტებს მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან ორკესტრთან; მათ შორისაა: ლონდონის სიმფონიური ორკესტრი, ლონდონის ფილარმონიული ორკესტრი, ლივერპულის ფილარმონიული ორკესტრი, ფილადელფიის ორკესტრი, სან-ფრანცისკოს სიმფონიური ორკესტრი, ტოკიოს NHK სიმფონიური ორკესტრი, სანტა ჩეჩილიას აკადემიის ორკესტრი, საფრანგეთის რადიოს ფილარმონიული ორკესტრი, მონტე-კარლოს ფილარმონიული ორკესტრი, ლა სკალას ფილარმონიული ორკესტრი, მიუნხენის ფილარმონიული ორკესტრი, ვენეციის ბაროკოს ორკესტრი და ა.შ.

ბრუნელო აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა, როგორც იტალიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ; სისტემატურად იღებს მონაწილეობას მსოფლიოს წამყვან მუსიკალურ ფესტივალებში და უკრავს, პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში. მისი, უკანასკნელი დროის საკონცერტო ანგაჟემენტები მოიცავს კონცერტებს ლონდონში, ლისაბონში, ბარსელონაში, ამსტერდამში, ტოკიოში, ეინდჰოვენში, უტრეხტში, მილანში, ტურინსა და რომში.

ბრუნელო უკრავს მე-17 საუკუნის დასაწყისში დამზადებულ ისტორიულ ინსტრუმენტზე (Maggini), რომელსაც, ბოლო წლებში, ოთხსიმიანი პიკოლო ჩელოც შეჰმატა. ეს უკანასკნელი ფართოდ გამოიყენებოდა ბაროკოს ეპოქაში, განსაკუთრებით კი იოჰან სებასტიან ბახის შემოქმედებაში - დაახლოებით ათ კანტატაშია გამოყენებული. ბრუნელოს ინსტრუმენტი შექმნილია ამატის მოდელის შთაგონებით და მისი ორიგინალი კრემონაში ინახება. მას აქვს ვიოლინოს ტიპური წყობა (E, A, D, G), თუმცა ერთი ოქტავით ქვევით, რაც მას უნარჩუნებს ჩელოსათვის დამახასიათებელ ღრმა, ხავერდოვან და მსუყე ჟღერადობას. მსგავსმა თავისებურებებმა ბრუნელო მონუსხა და ბიძგი მისცა რომ სიღრმისეულად შეესწავლა და დაინტერესებულიყო ბახის, ვივალდის, ტარტინისა და მათი თანამედროვეების სავიოლინო რეპერტუარის შედევრებით.

ბრუნელოს ფართო და მრავალფეროვანი დისკოგრაფიიდან, ალბომების სრული უმრავლესობა საერთაშორისო კრიტიკოსების მაღალი შეფასებით სარგებლობს; ჩანაწერებს შორისაა: იოჰან სებასტიან ბახის სონატებისა და პარტიტების სრული ციკლი ჩელო პიკოლოსთვის, ბახის ექვსი სონატა ჩემბალოსა და ვიოლინოსთვის, ვაინბერგის ოთხი სონატა სოლო ჩელოსთვის და მრავალი სხვა.

ნიშანდობლივია ბრუნელოს მჭიდრო თანამშრომლობა Kremerata Baltica-სა და გიდონ კრემერთან. სწორედ ამ კოლაბორაციის შედეგია ორი უნიკალური ჩანაწერი: ჯონ ტავენერის "The Protecting Veil", რომელიც ჩაიწერა Lockenhaus ფესტივალზე და ალბომი Searching for Ludwig, რომელიც ეძღვნება ბეთჰოვენს და შეიქმნა 2020 წლის ნოემბერში. ეს ალბომი აერთიანებს კომპოზიტორის ორ კვარტეტს (გადამუშავებული სიმებიანი ორკესტრისათვის) და ლეო ფერესა და ჯოვანი სოლიმას ბეთჰოვენის შთაგონებით შექმნილ ორ თანამედროვე ნაწარმოებს.

მარიო ბრუნელო არის ფესტივალების Arte Sella და I Suoni delle Dolomiti სამხატვრო ხელმძღვანელი. აგრეთვე, 2020 წლიდან, იგი აგრძელებს ჯანანდრეა ნოზედას შემოქმედებით საქმიანობას და ხელმძღვანელობს ფესტივალს Stresa Festival.

MARIO BRUNELLO cello

Mario Brunello is one of the most multifaceted and sought-after artists of his generation. A soloist, chamber musician, conductor, and a pioneer of cello piccolo, he is the first European ever to win the Tchaikovsky Competition in 1986. Brunello is a cellist of extraordinary talent who balances performing a wide-ranging repertoire spanning from early music to contemporary.

Brunello's authentic and passionate performance style allowed him to collaborate with the most renowned conductors of our generation such as Antonio Pappano, Myung-Whung Chung, Yuri Temirkanov, Zubin Mehta, Ton Koopman, Manfred Honeck, Riccardo Muti, Daniele Gatti, Seiji Ozawa, Riccardo Chailly e Claudio Abbado.

Mario Brunello has collaborated with many of the world's leading ensembles including the London Symphony, London Philharmonic, Liverpool Philharmonic, Philadelphia Orchestra, San Francisco Symphony, NHK Symphony Tokyo, Accademia di Santa Cecilia, Orchestre Philharmonique de Radio France, Orchestre Philharmonique de Monte-Carlo, Filarmonica della Scala and Munich Philharmonic, Venice Baroque orchestra to name just a few.

Mario Brunello's concert activity is very intense both in Italy and abroad. He regularly participates in the world's leading music festivals and performs in some of the most prestigious concert halls. His recent engagements include performances in London, Lisbon, Barcelona, Amsterdam, Tokyo, Eindhoven, Utrecht, Milan, Turin, and Rome.

Brunello plays a precious Maggini from the early 17th century, to which he has added in recent years the four-string piccolo cello. This instrument was widely used in the Baroque era, particularly by J.S. Bach, who included it in about ten cantatas. Brunello's instrument, inspired by an Amati model actually housed in Cremona, is tuned in the typical violin tuning (E, A, D, G), but an octave lower, thus retaining the depth and darker shades characteristic of the cello. These particularities have led Brunello to explore the musical masterpieces of the violin repertoire by Bach, Vivaldi, Tartini, and their contemporaries.

Brunello's diverse discography, with the whole majority of the albums having received critical acclaim, includes complete recording of J.S. Bach's Sonatas and Partitas for solo violoncello piccolo, J.S. Bach's Sei Suonate a cembalo certato e violino solo, Weinberg Four Sonatas for Solo Cello and many more. It's noteworthy that from a close collaboration with the Kremerata Baltica and Gidon Kremer, two exceptional recordings emerged: The Protecting Veil by Tavener, recorded at the Lockenhaus Festival, and Searching for Ludwig (November 2020) – a tribute to Beethoven, featuring two Beethoven quartets in versions for string orchestra alongside contemporary pieces inspired by Beethoven from Léo Ferré and Giovanni Sollima. Mario Brunello is Artistic director of Arte Sella and I Suoni delle Dolomiti Festival. In October 2020 he has been appointed as the new Artistic Director of Stresa Festival, taking over from Gianandrea Noseda.

პროგრამა | PROGRAMME

I

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

შვიდი ვარიაცია მოცარტის თემაზე ოპერიდან
"ჯადოსნური ფლეიტა" ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

სონატა ჩელოსათვის N3, ლა მაჟორი, თხზ. 69
Allegro ma non tanto
Scherzo. Allegro molto
Adagio cantabile – Allegro vivace

II

სერგეი რახმანინოვი

სონატა ჩელოსათვის სოლ მინორი, თხზ. 19

Lento – Allegro moderato
Allegro scherzando
Andante
Allegro mosso

I

LUDWIG VAN BEETHOVEN

Seven Variations on a Theme from Mozart's Magic Flute
for cello and piano

LUDWIG VAN BEETHOVEN

Cello Sonata N3 in A Major, op. 69
Allegro ma non tanto
Scherzo. Allegro molto
Adagio cantabile – Allegro vivace

II

SERGEI RACHMANINOFF

Cello Sonata in G Minor, op.19

Lento – Allegro moderato
Allegro scherzando
Andante
Allegro mosso

დეკემბერი 20 DECEMBER 19:00

კამერული მუსიკის საღამო

მარიო ბრუნელლო
ჩელო
იტალია

საქართველოს სინფონიეტა



CHAMBER MUSIC EVENING

MARIO BRUNELLO
CELO
ITALY

GEORGIAN SINFONIETTA

თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“

თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი - „საქართველოს სინფონიეტა“ 2008 წელს დაარსდა. მისი რეპერტუარი მრავალფეროვანია და მოიცავს სხვადასხვა ეპოქის მუსიკალურ ნაწარმოებებს. ორკესტრის კონცერტები იმართება როგორც საქართველოში ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

2012 წელს ორკესტრმა შეიძინა ბაროკოს ეპოქის მუსიკალური ინსტრუმენტები და გახდა პირველი ბაროკოს ორკესტრი კავკასიაში. 2015 წელს დააფუძნა „თბილისის ბაროკო ფესტივალი“, რომელიც ყოველწლიურად იმართება და უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

თბილისის საკონცერტო დარბაზების გარდა „საქართველოს სინფონიეტა“ კონცერტებს მართავს ისეთ შესანიშნავ დარბაზებში როგორიც არის Konzerthaus Berlin (გერმანია), Concertgebouw Amsterdam (ჰოლანდია), მიუნჰენის კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი, Cameratta Hall (ჰელსინკი, ფინეთი), პრიტვის თეატრი (ინდოეთი), NCPA - TATA Theatre (ინდოეთი), მუსლიმ მაგომაევის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი (ბაქო), კომიტასის სახელობის კამერული მუსიკის დარბაზი (ერევანი, სომხეთი) და სხვა. ორკესტრს მონაწილეობა მიუღია ისეთ საერთაშორისო ფესტივალებში, როგორიც არის: „შემოდგომის თბილისი“, „მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში“, „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“, „სააღდგომო ფესტივალი“, „ბაროკოს მუსიკის დღეები“ (ბაქო, აზერბაიჯანი), იმლინგის საოპერო მუსიკის ფესტივალი (გერმანია), გდანსკის „გოლდბერგის ფესტივალი“ (პოლონეთი) და სხვა.

„საქართველოს სინფონიეტა“ თანამშრომლობს მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსებთან და ანსამბლებთან, მათ შორის: ჟორდი სავალი, სერჯო აცოლინი, კრისტინე ბუში, კრისტოფ მაიერი, ჟან რონდო, ანდრეას შოლი, დავიდ ამადიო, ანსამბლი “Zefiro”, ბერლინის ძველი მუსიკის აკადემია (AKAMUS) და სხვა. ორკესტრს, მარიამ ალექსიძის ქორეოგრაფიით, არაერთი საინტერესო პროექტი აქვს განხორციელებული გიორგი ალექსიძის თბილისის თანამედროვე საბალეტო დასთან ერთად.

2025 წლის მარტს, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და თბილისის მერიის მხარდაჭერით, თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა - „საქართველოს სინფონიეტამ“ განახორციელა ახალი მასშტაბური პროექტი და პირველად საქართველოში. კოტე მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე წარმოადგინა ასტორ პიაცოლას ოპერეტა-ტანგო - „მარია ბუენოს-აირესიდან“. ოპერა-ტანგოს დადგმაში, „საქართველოს სინფონიეტასთან“ ერთად მონაწილეობდა მსოფლიოში აღიარებული ქართველი და უცხოელი მუსიკოსები თუ არტისტები.

„საქართველოს სინფონიეტას“ კონცერტები სხვადასხვა დროს გადაიცემოდა ტელეარხებზე: „MEZZO”, „ARTE” და სხვა. ორკესტრს ჩაწერილი აქვს 10 კომპაქტ დისკი, რომელიც ბაროკოდან დაწყებული თანამედროვე კომპოზიტორების ჩათვლით ყველა ეპოქის მუსიკას მოიცავს.

Tbilisi State Chamber Orchestra "GEORGIAN SINFONIETTA"

Founded in 2008, the Tbilisi State Chamber Orchestra – Georgian Sinfonietta aims to present a diverse repertoire at the highest artistic level. The orchestra's schedule includes performances both in Georgia and across Europe, as well as in various regions of Georgia.

Since acquiring period instruments in 2012, the orchestra has been a pioneer of historically informed performance in the Caucasus. In 2015, it established the Tbilisi Baroque Festival, which has since become an annual event.

The Georgian Sinfonietta has performed in renowned venues such as Konzerthaus Berlin, Concertgebouw Amsterdam, the Grand Hall of the Munich Conservatory, Helsinki Camerata Hall (Finland), Prithvi Theatre (India), NCPA - TATA Theatre (India), the Muslim Magomayev Azerbaijan State Philharmonic Hall, and Komitas Chamber Music House (Yerevan), among others. The orchestra has participated in international festivals such as: Autumn Tbilisi, Telavi International Music Festival, New Year Music Celebrations, The Easter Festival, Baroque Music Days (Azerbaijan), Immling Festival (Germany), and the Goldberg Festival in Gda□sk (Poland), among others.

The Georgian Sinfonietta has collaborated with distinguished artists and ensembles such as Jordi Savall, Sergio Azzolini, Christine Busch, Christoph Mayer, Jean Rondeau, Andreas Scholl, Davide Amadio, Ensemble Zefiro, and the Academy for Early Music Berlin (Akamus). The orchestra has also worked on numerous successful projects with the Giorgi Aleksidze Tbilisi Contemporary Ballet, featuring choreography by Mariam Aleksidze.

In March 2025, with the support of the Ministry of Culture of Georgia and Tbilisi City Hall, the Tbilisi State Chamber Orchestra – Georgian Sinfonietta – launched a new large-scale international project and, for the first time in Georgia, presented Astor Piazzolla's operita-tango "María de Buenos Aires" on the main stage of the Kote Marjanishvili Theatre. Alongside the "Georgian Sinfonietta," internationally acclaimed Georgian and foreign musicians and artists participated in the production.

Concerts by the Georgian Sinfonietta have been broadcast on leading television channels, including MEZZO and ARTE. The orchestra has recorded 10 CDs, covering a wide range of music from Baroque compositions to contemporary works.

პროგრამა | PROGRAMME

I

ფრანც შუბერტი	უვერტიურა D8, დო მინორი (გადამუშავებული სიმებიანი ორკესტრისათვის)
	სონატა ლა მინორში "Arpeggione" (გადამუშავებული სიმებიანი ორკესტრისათვის)

II

მიჩესლავ ვაინბერგი	კონცერტინო ჩელოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის, თხზ. 43bis
	სინფონიეტა N2, თხზ.74 სიმებიანი ორკესტრისა და ტიმპანისათვის

I

FRANZ SCHUBERT	Overture D8 in C minor (version for strings) Sonata in A minor "Arpeggione" (version for cello and strings)

II

MIECZYSŁAW WEINBERG	Concertino for cello and strings op. 43bis Sinfonietta N2, op.74 for strings and timpani

დეკემბერი 23 DECEMBER 19:00

საფორტეპიანო მუსიკის საღამო

კაცუნორი იში

იაპონია



PIANO MUSIC EVENING

KATSUNORI ISHII

JAPAN

კაცუნორი იში ფორტეპიანო

კაცუნორი იშიმ, ტოკიოს მუსიკის კოლეჯში სწავლის პერიოდში მოიპოვა მესამე პრემია იაპონიის 59-ე მუსიკალურ კონკურსზე; აგრეთვე, გახდა რობერტ კაზადეზიუსის სახელობის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსის (კლივლენდი, აშშ) მეოთხე პრემიისა და 1997 წელს, კი ჰამამაცუს საერთაშორისო საფორტეპიანო აკადემიის კონკურსის პირველი პრემიის მფლობელი. 1992 წელს, თეინგელვუდის ფესტივალის ფარგლებში, ფორტეპიანოსა და კამერულ მუსიკის გაკვეთილებს იღებდა ლეონ ფლეიშერთან და პიტერ სერკინთან. მანესის მუსიკის სკოლაში (ნიუ-იორკი) კი ფორტეპიანოს სწავლობდა სტეფანი ბრაუნის კლასში; მუსიკის ანალიზს კარლ შახტერის, ხოლო, დირიჟორობას - მაიკლ ჩერის ხელმძღვანელობით. 1996 წელს, მან მიიღო მაგისტრის ხარისხი და გადაეცა ჯ. ფიდელმანის სახელობის ჯილდო.

1994 წელს, იგი დროებით დაბრუნდა იაპონიაში და გამართა მისი სადებიუტო რეციტალი ტოკიოში (Tokyo Bunka Kaikan). ღონისძიება შედგა იაპონიის მუსიკოსთა ფედერაციისა და კულტურის საქმეთა სააგენტოს მხარდაჭერით.

იშის, როგორც სოლისტის საკონცერტო მოღვაწეობა მოიცავს თანამშრომლობას ისეთ ორკესტრებთან, როგორებიცაა: პრაღის რადიო სიმფონიური ორკესტრი, ნიუ-ამსტერდამის სიმფონიური ორკესტრი, კაიუგას კამერული ორკესტრი, ოჰაიოს კამერული ორკესტრი, კოსტა-რიკის ეროვნული ორკესტრი, იომიური ნიპონის სიმფონიური ორკესტრი, იაპონიის ფილარმონიული ორკესტრი, ტოკიოს საქალაქო ფილარმონიული ორკესტრი, კიუშუს სიმფონიური ორკესტრი, ოსაკას სიმფონიური ორკესტრი, საპოროს სიმფონიური ორკესტრი, ჰიროშიმას სიმფონიური ორკესტრი, ჰამამაცუს ფილარმონიული ორკესტრი და სხვა.

2009 წელს, კაცუნორი იშიმ მონაწილეობა მიიღო ჰაიდნის იუბილესადმი მიძღვნილ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში (ვიანა-დუ-კაშტელუ, პორტუგალია). მან შეასრულა ჰაიდნის ფა მაჟორული საფორტეპიანო კონცერტი საკუთარი კადენციებით, რასაც საუკეთესო შეფასება მოჰყვა.

უკანასკნელ წლებში, მას სისტემატურად იწვევენ საერთაშორისო ფესტივალებზე, როგორც პიანისტს, ისე - პედაგოგს. იგი ატარებს მასტერკლასებს ვაიკერშაიმის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე (გერმანია), ენგელსის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე (გერმანია), სიანის კონსერვატორიაში (ჩინეთი), ლაგო-მაჯორეს (სტრეზა, იტალია) ზაფხულის საფორტეპიანო აკადემიაში; და ამით დიდი წვლილი შეაქვს მომავალი თაობების პროფესიულ განვითარებაში.

სხვადასხვა წელს, კაცუნორი იში, ჟიურის წევრის სტატუსით იყო მიწვეული არაერთ საერთაშორისო კონკურსზე. 2006 წლიდან, იგი ჰამამაცუს საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსის აღმასრულებელი კომიტეტისა და ექსპერტთა საბჭოს წევრია.

ამჟამად, იგი ტოკიოს მუსიკის კოლეჯის პროფესორია.

პიანისტის დისკოგრაფია მოიცავს: შუბერტის ექსპრომტებს, D.935; მუსორგსკის “სურათები გამოფენიდან”; და კომპაქტ-დისკს, სახელწოდებით Words of Love, რომელიც აერთიანებს გრანადოსის, სტრავინსკისა და შუბერტის ნაწარმოებებს.

KATSUNORI ISHII piano

Studied at Tokyo College of Music as a scholarship student, winning third prize at the 59th Japan Music Competition during his studies. Katsunori placed fourth at the Robert Casadesus International Piano Competition in Cleveland and won first prize at the 1997 Hamamatsu International Piano Academy Competition.

In 1992, he was invited as a fellow to the Tanglewood Music Festival, studying chamber music and piano with Leon Fleisher and Peter Serkin. At the Mannes College of Music graduate school in New York, he studied piano with Stephanie Brown, a protégé of Rudolf Serkin, music analysis with Karl Schachter, and conducting with Michael Charry. In 1996, he earned his Master's degree, receiving the J. Fiedelman Piano Award. In 1994, he temporarily returned to Japan and gave his Tokyo debut recital at the Tokyo Bunka Kaikan Recital Hall, co-sponsored by the Japan Federation of Musicians and the Agency for Cultural Affairs.

As a soloist, Katsunori Ishii has performed with the Prague Radio Symphony Orchestra, New Amsterdam Symphony Orchestra, Cayuga Chamber Orchestra, Ohio Chamber Orchestra, Costa Rica National Orchestra, Yomiuri Nippon Symphony Orchestra, Japan Philharmonic Orchestra, Tokyo City Philharmonic Orchestra, Kyushu Symphony Orchestra, Osaka Symphony Orchestra, Sapporo Symphony Orchestra, Hiroshima Symphony Orchestra, Hamamatsu Philharmonic Orchestra, and others.

In 2009, the Haydn Year, Katsunori was invited to the Viana do Castelo International Music Festival (Portugal), where he performed Haydn's Piano Concerto in F major with his own cadenzas, receiving high acclaim. In recent years, he has been invited to perform and conduct masterclasses at the Waikersheim International Music Festival (Germany), Engels International Music Festival (Germany), Xi'an Conservatory of Music (China), and the Piano Summer Academy in Lago Maggiore Stresa (Italy), among others, actively contributing to the development of the next generation.

In different years, he has served as a judge for many international piano competitions. Since 2006, he has held positions as an executive committee member and expert committee member for the Hamamatsu International Piano Competition.

Currently, he is a professor at Tokyo College of Music.

The pianist's discography includes: Words of Love: Granados, Stravinsky, Schubert (OVCT-00133); Schubert: Impromptus D.935 & Mussorgsky: Pictures at an Exhibition (SONARE1002)

პროგრამა | PROGRAMME

I

ფრანც შუბერტი	ფანტაზია დო მაჟორი, D.605A ("Grazer Fantasie")
მორის რაველი	სონატინა, M.40
	Modéré
	Mouvement de menuet
	Animé
მორის რაველი	ვალსი

II

ფრანც შუბერტი	ოთხი ექსპრომტი, D. 935

I

FRANZ SCHUBERT	Fantasie in C Major, D.605A ("Grazer Fantasie")
MAURICE RAVEL	Sonatine, M.40
	Modéré
	Mouvement de menuet
	Animé
MAURICE RAVEL	La Valse

II

FRANZ SCHUBERT	Four Impromptus, D. 935

უშანგი ხუმა (ხუმარაშვილი) ფერმწერი (1948-2023)

უშანგი ხუმარაშვილი დაიბადა 1948 წელს - დედოფლისწყაროში (საქართველო).

1967-73 წლებში იგი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, ფერწერის ფაკულტეტზე - თეატრის განხრით. 1974-80 წლებში იგი მუშაობდა თელავის დრამატულ თეატრში; 1988 წლიდან კი გახდა საქართველოს „მხატვართა კავშირის" წევრი.

მისი პერსონალური გამოფენების ჩამოთავალი: „ქაოტური წესრიგი", ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი (თბილისი, საქართველო, 2024 წ.), თიბისი არტ გალერეა (თბილისი, საქართველო, 2019 წ.), საქართველოს ეროვნული გალერეა (თბილისი, საქართველო, 2018 წ.), თიბისი არტ გალერეა (თბილისი, საქართველო, 2015 წ.), "თბილისის ზღვა", გალა გალერეა (თბილისი, საქართველო, 2014 წ.), "კატაკლიზმები", გალა გალერეა (თბილისი, საქართველო, 2011 წ.), "დიონისე", ბაია გალერეა (თბილისი, საქართველო, 2008 წ.), "აბსტრაქცია", ბაია გალერეა (თბილისი, საქართველო, 2007 წ.), ბაია გალერეა, თბილისი (საქართველო, 2005 წ.), თი-ემ-ეს გალერეა (თბილისი, საქართველო, 2000 წ.), საქართველოს ეროვნული გალერეა (თბილისი, საქართველო, 1994 წ.).

მას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ჯგუფურ გამოფენაში; მათ შორისაა: „დიალოგი" - სერგო ჩახოიანცი და უშანგი ხუმარაშვილი, „ათინათი"-ს კულტურის ცენტრი (თბილისი, საქართველო, 2023 წ.), საერთაშორისო ტრიენალე (ბელგრადი, სერბეთი, 2013 წ.), "Victoria", საქართველოს ეროვნული გალერეა (თბილისი, საქართველო, 2013 წ.), "არტისტერიუმი 2" (თბილისი, საქართველო, 2009 წ.), თანამედროვე ქართული მხატვრობა, სომხეთის ეროვნული გალერეა (ერევანი, სომხეთი, 2006 წ.), თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალე (განჯა, აზერბაიჯანი, 2006 წ.), ვორქშოპი (შაქი, აზერბაიჯანი, 2000-02 წწ.), N გალერეა (თბილისი, საქართველო, 1999 წ.), „ატროფია", ძველი გალერეა (თბილისი, საქართველო, 1998 წ.), თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალე (თბილისი, საქართველო,1996 წ.).

უშანგი ხუმარაშვილის ნამუშევრები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და ასევე, კერძო საკუთრებაში, როგორც საქართველოში, ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

USHANGI KHUMA (KHUMARASHVILI) artist (1948-2023)

Ushangi Khumarashvili was born in 1948 in Dedoplistskaro (Georgia).

In 1967-73 he studied at Tbilisi State Academy of Art - Theater Department at the Faculty of Painting. In 1974-80 he worked at Telavi Drama Theatre. In 1988, he became the member of Artist's Union of Georgia.

Ushangi Khumarashvili's Personal Exhibitions are as follow: "Chaotic Order", Georgian Museum of Fine Arts, Tbilisi, Georgia (2024); TBC Art Gallery, Tbilisi, Georgia (2019); Georgian National Gallery, Tbilisi, Georgia (2018); TBC Art Gallery, Tbilisi, Georgia (2015); "Tbilisi Sea", Gala Gallery, Tbilisi, Georgia (2014); "Cataclysms", Gala Gallery, Tbilisi, Georgia (2011); „Dionysus" Baia Gallery, Tbilisi, Georgia (2008); "Abstraction" Baia Gallery, Tbilisi, Georgia (2007); Baia Gallery, Tbilisi, Georgia (2005); TMS Art Gallery, Tbilisi, Georgia (2000); Georgian National Gallery, Tbilisi, Georgia (1994).

In different years, he participated in a number of Group Exhibitions; among them are: "Dialogue", Sergo Chakhoiants and Ushangi Khumarashvili, ATINATI's Cultural Center, Tbilisi, Georgia (2023),

International Triennial, Belgrade, Serbia (2013), "Victoria", Georgian National Gallery, Tbilisi, Georgia (2013), "Artisterium 2", International Exhibition of Contemporary Art, Tbilisi, Georgia (2009), Contemporary Georgian Art, National Gallery of Armenia, Yerevan, Armenia (2006), International Biennale of Contemporary Art, Ganja, Azerbaijan (2006), Workshop, Shaki, Azerbaijan (2000-02), N Gallery, Tbilisi, Georgia (1999), "Atrophy", Old Gallery, Tbilisi, Georgia (1998), International Biennale of Contemporary Art, Tbilisi, Georgia (1996).

The artworks of Ushangi Khumarashvili are preserved at The National Museum of Georgia as well as in private collections in Georgia and various countries of Europe.

გამოფენის კურატორი: ქეთევან კორძახია
Exhibition Curator: Ketevan Kordzakhia

ბუკლეტზე მუშაობდნენ:
ნატა მეცხოვრიშვილი
დიზაინი
თეონა კვაჭაძე

COMPLETED BY
NATA METSKHOVRISHVILI
DESIGN BY
TEONA KVACHADZE